ემბისის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ანგარიში 2019



სარჩევი

3 გენერალური დირექტორის მიმართვა

4 შესავალი

5 ემბისის პარტნიორები

6 გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

10 ქალთა გაძლიერება

11 ფინანსური განათლების მხარდაჭერა

14 თანამშრომლები

18 პრო-ბონო სერვისები და საზოგადოების ცალკეული თემების მხარდაჭერა

23 პასუხისმგებლობა საბაზრო სივრცეში

26 ახალგაზრდების მხარდაჭერა

გენერალური დირექტორის მიმართვა

გია პეტრიაშვილი
“ემბისის” გენერალური დირექტორი

2019 წელი რთული და მნიშვნელოვანი გამოწვევების წელი იყო მიკროსაფინანსო ბაზრისათვის. მიუხედავად ამისა, მისო „მიკრო ბიზნეს კაპიტალმა“ (“ემბისი“) მოახერხა ადეკვატური ადაპტაცია ახალ გამოწვევებთან და 2019 წელი წარმატებით დაასრულა.

2019 წელს დაინერგა ახალი პროდუქტები, გაუმჯობესდა კონტროლის მექანიზმები და ამაღლდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი. “ემბისი“-ის გუნდმა მოახერხა განვითარების მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება და შეძლო დასახული მიზნების მიღწევა. სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ერთობლივი ძალისხმევით კიდევ უფრო დაიხვეწა ორგანიზაციული სტრუქტურა, გაფართოვდა და განვითარდა სერვის-ცენტრების რეგიონალური ქსელი. 2019 წლის ბოლოს “ემბისი“ 13 სერვის-ცენტრით იყო წარმოდგენილი საქართველოს მასშტაბით, ხოლო მისი გუნდი 200-ზე მეტი პროფესიონალისგან შედგებოდა.

2019 წელს “ემბისი“-ის გუნდმა წარმატებით გადაჭრა არსებული ამოცანები და დაისახა ახალი გეგმები, რაც შეუძლებელი იქნებოდა გუნდის მაღალი კომპეტენციის, კორპორატიული კულტურისა და სწორი ფასეულობების გარეშე. ჩვენ შევქმენით თანასწორი, სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემო, ვუზრუნველყავით გენდერული ბალანსის დაცვა და განვსაზღვრეთ პრიორიტეტულ მიმართულებად ქალების მხარდაჭერა და გაძლიერება.მომავალში ჩვენი მუშაობა კიდევ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კომპანიის აქციონერებისა და მენეჯმენტის დიდი პოტენციალი მომავალშიც მიმართული იქნება მუდმივი განვითარებისაკენ, მომხმარებლისთვის მეტი სიახლის შეთავაზებისაკენ და ფინანსურ ბაზარზე პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებისკენ. კომპანიის მისიაა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გზით ხელი შევუწყოთ ფინანსურ მომსახურებაზე ნაკლები წვდომის მქონე ადამიანების ინტეგრაციას ეკონომიკაში, შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები, წვლილი შევიტანოთ სიღარიბესა და უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შესავალი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი" ("ემბისი") თანამედროვე, ინოვაციური და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მოქმედი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია მიკრო და მცირე მეწარმეებისა და ფერმერებისთვის მათზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისების შეთავაზება, ფინანსური სახსრების და სასესხო პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობა მომხმარებლებთან.

"ემბისი", როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, ორიენტირებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში. "ემბისი"-სთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის მოდელთან ინტეგრირებულ კორპორაციის თვითრეგულირების ფორმას წარმოადგენს და ასახულია კომპანიის ძირითად ღირებულებებში: გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, პარტნიორობა, ეთიკური კორპორაციული მართვა, ინოვაცია.

"ემბისი"-ის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: გარემოს დაცვა, ქალთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება, ფინანსური განათლების მხარდაჭერა, შრომითი უფლებები, ახალგაზრდების მხარდაჭერა.

ემბისის პარტნიორები

ემბისი არის ისეთი ადგილობრივი და საერთაშორისო ქსელების წევრი, რომლებიც სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას უწყობენ ხელს: Global Compact, CSR Club, Georgian Pro Bono Network , UN Women, MFC, Smart Campaign.

ასევე, არის ისეთი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდამჭერი, რომლებიც მუშაობენ საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების მხარადასაჭერად.

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

გარემოს დაცვა კომპანიის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია და ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. კომპანიის მიზანია მაქსიმალურად შეამციროს საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, უზრუნველყოს ნარჩენების გადამუშავება და დასუფთავება – გადამუშავების აქციებში აქტიური ჩართულობა.
ემბისი-ს ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პოლიტიკის კოორდინაციასა და კონტროლს, სისტემატიურად უწევს ზედამხედველობას და ასევე ახალისებს კომპანიაში ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ემბისი გამოყოფს ადამიანურ და ფინანსურ რესურებს გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.
კომპანია აწარმოებს მომხმარებლების, ინვესტორებისა და ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებას დაგეგმილი გარემოსდაცვითი აქტივობებისა და ინიციატივების შესახებ. კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდგრადი გარემოსდაცვითი აქტივობების დაგეგმვა და ამ აქტივობებში თანამშრომლების ჩართვა, მათი ინიციატივების განხილვა და განხორციელება.

უფლისციხის გზის დასუფთავება

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

2018-2019 წლებში გარემოს დაცვის სფეროში ემბისი-ს მიერ განხორციელებული აქტივობები

- "გარემოს გულისთვის" - "ემბისი" მასშტაბურ გარემოსდაცვით კამპანიას შეუერთდა. პროექტის ფარგლებში, კომპანიის თანამშრომლები სოფელ ქვახვრელში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტული ღირშესანიშნაობის - უფლისციხისკენ მიმავალი გზის ნარჩენებისაგან გასუფთავებაზე იღებენ პასუხისმგებლობას და კომპანიის დაფინანსებით და მხარდაჭერით წელიწადში რამდენჯერმე ასუფთავებენ აღნიშნულ ტერიტორიას;
"გარემოს გულისთვის" CENN-ის ინიციატივითა და USAID-ის დაფინანსებით მიმდინარე პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დანაგვიანებული ადგილების დასუფთავებას და აღნიშნულ უბნებზე სისუფთავის შენარჩუნებას კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით. კამპანიის ფარგლებში დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლიათ, აირჩიონ კონკრეტული ტერიტორია, რომლის მოვლა-პატრონობაზეც აიღებენ პასუხისმგებლობას;

- ემბისი "მწვანე პროექტის" წევრია და თანამშრომლები მაქსიმალურად უფრთხილდებიან ბუნებრივ რესურსებს. სერვის ცენტრებში ხორციელდება ქაღალდის ნარჩენების შეგროვება და ხელმეორედ გადამუშავების მიზნით შესაბამის პუნქტებში ჩაბარება;

- ემბისი-ს თანამშრომლები ყოველწლიურად მონაწილეობას იღებენ დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში და გამწვანების აქციებში. “ერთად ჯანმრთელი დედამიწისთვის” - კომპანია შეუერთდა ინიციატივას და ფილიალებში პლასტმასს ქაღალდის ჯანმრთელი ჭიქებით ანაცვლებს;

- კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამწვანების აქციები, ამიტომ თანამშრომლები ოჯახის წევრებთან მუდმივად არიან ჩართული მსგავს აქტივობებში . (მახათას მთის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე, კიპაროსის ხის ნერგების დარგვა და მათი მოვლა).

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

ემბისისთვის ჯანსაღი გარემო, გარემოს დაცვაზე ზრუნვა იწყება თანამშრომლების ჩართულობით, ამიტომ კომპანიაში აღინიშნება ყველა გარემოსდაცვითი დღე და ხდება კომპანიის თანამშრომლების მაქსიმალური წახალისება.

- 8 თებერვალი სამსახურში ველოსიპედით მოსვლის დღეა და ამ დღის აღსანიშნავად კომპანიის თანამშრომლები სამსახურში ველოსიპედებით მოვიდნენ, აღნიშნულმა წაახალისა ეკომეგობრული ტრანსპორტით სარგებლობა და თანამშრომლების ნაწილი დღემდე სარგებლობს;

- 21 სექტემბერი არის მშვიდობის საერთაშორისო დღე, რომელიც 2019 წელს მიეძღვნა კლიმატზე ზრუნვას. კომპანია შეუერთდა გაეროს ინიციატივას და ამ დღესთან დაკავშირებით კომპანიის ყველა თანამშრომელმა უარი თქვა მანქანით სარგებლობაზე და ერთი კვირის განმავლობაში ისარგებლა მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

გარემოსდაცვითი ღონისძიებების შედეგები

- კომპანიაში მიმდინარეობს პლასტმასის ჭიქების ჩანაცვლება ქაღალდის ჭიქებით;
- გრძელდება ხეების დარგვა, რომელსაც უვლიან თანამშრომლები;
- დასუფთავდა უფლისციხის გზა, პროცესი პერიოდულად მეორდება;
- გამწვანდა ემბისის ოფისები, რომლის დიზაინი და მცენარეების შერჩევა მოხდა თანამშრომლების უშუალო ჩართულობით. კონცეფცია შემუშავდა კომპანიაში, თანამშრომლები გაეცნენ მცენარეთა მოვლის წესებს;
- შეგროვებული და ხელმეორედ გადამუშავების მიზნით ჩაბარებულ იქნა ქაღალდის ნარჩენები (დაარსების დღიდან შესაბამის გადამამუშავებელ ობიექტში კომპანიამ უზრუნველყო 1 ტონა ქაღალდის ჩაბარება);
- თანამშრომლების 5% სარგებლობს ეკომეგობრული ტრანსპორტით;
- გარემოს დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის ჩამოყალიბება, სამოქმედო გეგმის შემუშავება და წლის კალენდრის დაგეგმვა არის ის პირველი ნაბიჯები, რომელიც კომპანიამ გადადგა და აგრძელებს;
- დაგეგმილია თანამშრომლებისთვის ცნობადობის ამაღლების სამუშაო შეხვედრები ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა გლობალურ კონტექსტში ეკოლოგიური პრობლემები და შესაბამისი მნიშვნელოვანი კონვენციები;
- კომპანია აგრძელებს საკუთარი საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებას გარემოს დაცვის საკითხის შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით და ყველა საერთაშორისო გარემოს დაცვითი დღის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს საკომუნიკაციო ქსელებით. უახლოეს მომავალში ემბისი გეგმავს გადავიდეს ე.წ „მწვანე შესყიდვებზე“.



ქალთა გაძლიერება

გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესის დაჩქარების მიზნით, “ემბისი” თანამშრომლობს გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან, რომელიც ახორციელებს კერძო სექტორის მობილიზაციას და კომპანიებს სამუშაო ადგილებსა თუ მათ მიღმა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვანი ზომების განხორციელებაში ეხმარება. გაეროს ქალთა ორგანიზაციის/ გაეროს გლობალური შეთანხმების ქალთა გაძლიერების პრინციპებისა და ქალთა გაძლიერების პრინციპების გენდერული ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენებით, “ემბისი” გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს ინფორმირებულობის ამაღლებას, იმის შესახებ თუ რატომ აქვს ბიზნესის ეფექტიანობისთვის გენდერულ თანასწორობას დიდი მნიშვნელობა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ქვეყნის მდგრად განვითარებაში. “ემბისის “მიერ განსახორციელებელი ზომების რამდენიმე მაგალითია: შრომის თანასწორი ანაზღაურების პოლიტიკა, სამსახურში მიღების გენდერულად მგრძნობიარე პრაქტიკა, მიზნობრივი დასაქმების პროგრამები და მარკეტინგის იმგვარი პრაქტიკის დამკვიდრება, რომელიც გენდერულ სტერეოტიპებს უპირისპირდება.



ეთო ჩაჩიბაია

“ემბისის” ოპერაციების დირექტორი

"ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ინიციატივის წევრი კომპანიები აქტიურად მუშაობენ იმისთვის, რომ შეიცვალოს და დაწინაურდეს ქალის როლი სამსახურსა და ზოგადად, საზოგადოებაში. ათასობით წევრი კომპანიის მიზანი კი ერთია - მეტი ქალი ბიზნესში, მეტი ქალი ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ჩვენც დიდი სიამაყით შევუერთდით ამ ინიციატივას და იმედი გვაქვს, რომ ქართულ საზოგადოებაში ქალთა ეკომონიკურ გაძლიერებაში ჩვენს წვლილსაც შევიტანთ".

ფინანსური განათლების მხარდაჭერა

ფინანსური განათლება “ემბისის” კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიული მიმართულებაა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მნიშვნელოვანი ქვე პროექტები პარტნიორებთან ერთად.
ფინანსური განათლების კუთხით, კომპანია ახორციელებს პროექტს "ფინანსური მრჩეველი". დღესდღეობით, მოსახლეობის ფინანსური განათლების თემა ძალიან აქტუალურია არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ფინანსური განათლება არის ფინანსური ცოდნის, ქცევებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც ადამიანს ეხმარება, სწორად შეაფასოს გარემო, მის წინაშე არსებული რისკები და შესაძლებლობები, მიიღოს გონივრული, გააზრებული, პასუხისმგებლობასა და შესაბამის ინფორმაციაზე დაფუძნებული ფინანსური გადაწყვეტილებები. ფინანსური განათლება ადამიანს საკუთარი უფლებების უკეთ დაცვასა და პირადი თუ ოჯახის ფინანსური კეთილდღეობის მიღწევაში ეხმარება. ფინანსური ინსტიტუტები, ყოველდღიურად, ახალ და მრავალფეროვან მომსახურებას სთავაზობენ თავიანთ მომხმარებელს, რიგით ადამიანს კი სჭირდება გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, როგორც შემოთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურებების კომპეტენტურად გააზრებისთვის, ისე დამოუკიდებელი და საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებისთვის.
ხშირად ახალგაზრდებიც ვერ განკარგავენ ფინანსებს რაციონალურად, შედეგად ვერ გეგმავენ თავიანთ ცხოვრებისეულ ციკლსა და ფინანსურ მომავალს. საკმაოდ დიდია წარუმატებელი სტარტაპების რიცხვიც, ვერ ვითარდებიან მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდნენ. პრობლემებია სოფელშიც - ფერმერებს არ ჰყოფნით სამეწარმეო გამოცდილება და უნარები თავიანთი მეურნეობის განსავითარებლად. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასტურად, რომ საზოგადოებაში არსებული ცოდნა საკმარისი არ არის.
"ფინანსური მრჩეველის“ იდეაც სწორედ აქედან გაჩნდა, იგი მიზნად ისახავს გუნდის გამოცდილება და ცოდნა გაუზიაროს ადამიანებს, ვისაც ამის საჭიროება აქვთ. ემბისისთვის ფინანსური განათლება იწყება სკოლის ასაკიდან და შესაბამისად პროექტებიც არის მრავალფეროვანი და ყველა ასაკობრივ ჯგუფზე მორგებული.
2019 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც მიმართული იყო სხვადასხვა ჯგუფების გაძლიერებისკენ. შეიქმნა პორტალი mrcheveli.com.ge და სოციალური მედიის შესაბამისი გვერდები ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად გავრცელებისთვის. დაიგეგმა პროექტები რეგიონებში.
Employment and Entrepreneurship Shuttles პროექტის ფარგლებში და მათთან პარტნიორობით, „ფინანსურმა მრჩეველმა“ რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ჩაატარა - მარნეულის, სენაკის, ზუგდიდის, ფოთის, წალენჯიხის და შაუმიანის მეწარმეობის პროგრამის მონაწილეებთან.

ფინანსური განათლების მხარდაჭერა

- გორში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე, ბერშუეთის საჯარო სკოლაში, ჩატარდა 5 დღიანი აქტივობა „ფულის გლობალური კვირეული 2019“-ის ფარგლებში, რომელიც. რომელიც განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივითა და მხარდაჭერით;

- ემბისი გამოეხმაურა 2019 წლის ივნისში განვითარებულ მოვლენებს და ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში დასაქმებული ადამიანების მხარდასაჭერად უზრუნველყო უფასო მასტერკლასების ჩატარება ფინანსური განათლების, მომსახურების ხარისხის, გაყიდვებისა და და მარკეტინგის მიმართულებით.

ფინანსური განათლების მხარდაჭერა

„ფინანსური მრჩეველი“ 2019 წლის დასაწყისიდან აქტიურად ახორციელებს აქტივობებს. ამ პერიოდის განმავლობაში ვითანამშრომლეთ მარნეულის, სენაკის, ზუგდიდის, წალენჯიხის თემებთან. მივიღეთ სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა. ჩვენი პარტნიორები არიან საერთაშორისო ორგანიზაცია Action againist Hunger, ფონდი ტასო, პრო ბონო საქართველო.

„ფონდი ტასო“-ს - ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის - პროექტის ფარგლებში, ჩატარდა შეხვედრები წალენჯიხაში, ჯგალსა და მუჯავაში. „ფინანსურმა მრჩეველმა“, მხარდაჭერა გამოუცხადა ფონდი ტასოს პროექტებს და კომპანიის წარმომადგენლებმა დაგეგმეს შეხვედრები, რომლის მიზანი იყო, მოახლოვებული საგრანტო კონკურსისათვის მზადება. გაეროს ქალთა ფონდის საგრანტო კონკურსში, ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის, ფინანსური მრჩეველი იყო მიწვეული საგრანტო კომისიის წევრად, მონაწილეობას იღებდა საგრანტო განაცხადების განხილვაში და პროექტის წარმომადგენლებმა მონაწილეებს გაუზიარეს ცოდნა და გამოცდილება.

პროექტის დაწყებიდან :

- უფასო ფინანსური კონსულტაცია მიიღო 100-ზე მეტმა დაინტერესებულმა პირმა;
- დატრენინგდა და გადამზადდა 150 -მდე ადამიანი;
- ფულის გლობალურმა კვირეულმა მოიცვა 105 ბენეფიციარი.

„ფინანსური მრჩეველი“ ემბისი-ს ყველაზე მასშტაბური და მდგრადი კორპორაციული პასუხისმგებლობის პროექტია. შესაბამისად მისი შემდგომი განვითარება სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პროექტის რეალიზაციაზე გამოყოფილია როგორც ადამიანური, ასევე შესაბამისი ფინანსური რესურსები.

ფინანსური ქცევის კულტურის ფორმირება, ხარჯებისა და შემოსავლების კონტროლის უნარი, საშუალო და გრძელვადიანი დანაზოგების დაგეგმვა-განხორციელება, შემოსავალსა და საკრედიტო დავალიანებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრა, მოსახლეობის მზარდი ინტერესი ფინანსური ცოდნის სფეროში ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების, ფინანსური ცოდნის მნიშვნელობის და პრაქტიკული სარგებლის გაცნობიერება, ფინანსური გარიგებების და ხელშეკრულებების გაფორმების თავისებურებების ცოდნა, ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისას სხვადასხვა ვარიანტების შედარების აუცილებლობა, მომხმარებელთა ინფორმირება მათი უფლებების და კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ წარმოადგენს „ფინანსური მრჩევლის“ პროექტის მისიას.

თანამშრომლები

კომპანიის წარმატების საფუძველს წარმოადგენს მისი თანამშრომლების გუნდი, რომელიც ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისოდ აღიარებული კორპორაციული მართვის პრინციპებითა და ეთიკის ნორმებით. პერსონალის მართვის სტრატეგია ორიენტირებულია მაღალი მოტივაციის სისტემაზე და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობაზე.

"ემბისი" განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხო პირობების შექმნას და დაცვას, უზრუნველყოფს მათი განვითარების ხელშემწყობი და წამახალისებელი გარემოს ჩამოყალიბებას.

კომპანიაში დანერგილია ონლაინ პლატფორმა „თანამშრომლის ხმა“, რომლის საშუალებითაც თანამშრომლებს სრული ანონიმურობის დაცვით შეუძლიათ ნებისმიერი შენიშვნის, უკმაყოფილებისა და გადაცდომის შესახებ მიწერონ ადამიანური რესურსების ჯგუფს, ტოპ მენეჯერებს, დირექტორებს. ამავე პლატფორმის მეშვეობით თანამშრომლებს აქვთ საშუალება დააფიქსირონ ახალი იდეები და რეკომენდაციები. აღნიშნული ქმნის მნიშვნელოვან მოტივაციას თანამშრომლებისთვის ერთობლივი ძალებით ჩამოვაყალიბოთ უფრო წარმატებული კომპანია, შევქმნათ კომფორტული და მეგობრული სამუშაო გარემო, სადაც თითოეული ჩვენგანი იქნება კმაყოფილი და ბედნიერი.

საუკეთესო მოლარის დაჯილდოება

თანამშრომლები

ემბისის მიერ განხორციელდა რამდენიმე სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი:

- საახალწლოდ ქალაქის გალამაზება- განვითარებაში ჩართვა, რის შედეგადაც ვაჟა- ფშაველას გამზირზე ემბისის თანამშრომლებმა, ოჯახის წევრებთან ერთად მორთეს სკვერი კომპანიის სრული ფინანსური მხარდაჭერით;
- სოციალური პასუხისმგებლობის თემაზე ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულმა თანამშრომლების გუნდმა თავად განახორციელა სოციალური პროექტი და ხანდაზმულთა სახლის ბენეფიციარებისთვის სრულად უზრუნველყო დაგეგმილი აქტივობების რეალიზაცია.

„ემბისი“-ს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია თანამშრომლების განვითარებაზე ზრუნვა, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობა, პროფესიული განვითარებისთვის დამატებითი საჭიროებების გამოვლენა და კარიერის დაგეგმვის მიზნით გადაადგილების შესაძლებლობების შექმნა. კომპანია მხარს უჭერს ფინანსურად კვალიფიკაციის ასამაღლებელ და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრეინინგებს.

ემბისი-ში თანამშრომელთა წახალისება მოიცავს როგორც მატერიალურ ასევე არამატერიალურ სისტემებს. მატერიალური სისტემებში ხელფასის გარდა გაერთიანებულია:

- თვიური, კვარტალური ბონუსები;
- წლიური პრემია;
- ჯანმრთელობის დაზღვევა (სრულად ანაზღაურებს კომპანია);
- სხვადასხვა კონკურსები;
- ხელფასის მატების სისტემა;
- ტრენინგები და თანამშრომელთა განვითარება;
- დამატებით ჯილდოები;
- კორპორატიული ღონისძიებები;
- გასვლითი ღონისძიებები.

არამატერიალურ სამოტივაციო სისტემებს წარმოადგენს ძირითადად თანამშრომელთა აღიარება, როგორიცაა:

- Facebook არხზე საუკეთესო თანამშრომლის შესახებ პოსტი;
- საუკეთესო თანამშრომლების გამოვლენა;
- მენეჯმენტის სტუმრობა საუკეთესო თანამშრომელთან და მილოცვა.

თანამშრომლები

დაარსების დღიდან მოყოლებული კომპანია წელიწადში მინიმუმ ერთხელ ახორციელებს ხელფასების მატებას ყველა თანამშრომლისთვის.

2019 წლის პირველი იანვრიდან, დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ამოქმედებასთან ერთად კომპანიამ გადაწყვიტა თანამშრომლის მიერ გადასახდელი საპენსიო შენატანის თანხებიც თავად გადაიხადოს. კომპანიისა და სახელმწიფოს შენატანების შედეგად იზრდება ემბისის-ს თანამშრომლების კეთილდღეობა, რაც კომპანიის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს.
კომპანიაში არის 8 საათიანი სრული სამუშაო დღე. ყველა თანამშრომლის სამუშაო გრაფიკი სრულ თანხვედრაშია საქართველოს კანონ-მდებლობასთან და შრომის კოდექსთან. ამავე დროს, მეძუძური დედები სარგებლობენ დამატებით 1 სთ-იანი შვებულება-შეღავათით.
კომპანიაში დასაქმებული ქალების და კაცების 100%-ს აქვს საშუალება ისარგებლოს დეკრეტული შვებულებით. კომპანია იხდის ანაზღაურებას 2 თვის ხელფასის ოდენობით.
ემბისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არსებული თანამშრომლების მზარდი პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი ტრენინგებისა და სასწავლო პროგრამების დაგეგმვასა და ჩატარებას. პერსონალის საჭიროებების კვლევის საფუძველზე ხორციელდება ეფექტური გადამზადების სისტემის შეთავაზება. ტარდება როგორც შიდა, ასევე გარე ტრეინინგები.
კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლებიდან 53% ქალია. მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობს 57% ქალი, ხოლო დირექტორატში -60%.

თანამშრომლები

თანამშრომლებთან ერთად განხორციელებული პროექტები

- ჭრელი წინდების აქცია. კომპანიამ და მისმა თანამშრომლებმა, #წინდამინდა კამპანიის ფარგლებში, სპეციალურად აღნიშნული დღისათვის შექმნილი წინდები შეიძინეს. თანხა მთლიანად "გიგოს ფონდში" გადაირიცხა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა სამედიცინო, სოციალურ მხარდაჭერასა და ზრდასრულთა დასაქმების ხელშეწყობას მოხმარდა;
- #აჩუქეწიგნი - კამპანია, რომელსაც "ემბისი"-ს თანამშრომლებიც შეუერთდნენ და ერთმანეთში წიგნები გაცვალეს. გარდა ამისა, კომპანიამ ტრადიციული სამახსოვრო წარწერით - "სიყვარულით MBC" - წიგნები იმ თანამშრომლებს გადასცა, ვისაც "ემბისი"-ში 5 წელზე მეტი ხნის მუშაობის სტაჟი აღმოაჩნდა, ინიციატივის მიზანი წიგნებისა და წიგნიერების პოპულარიზაცია გახლდათ;
- 2018-2019 წლების განმავლობაში ტრენინგები და გადამზადება (სერვიუს პლიუსი, გაყიდვები, პროცესები, პროდუქტები, პიროვნული განვითარება, მენეჯმენტი და ა.შ.) გაიარა 200-მდე თანამშრომელმა;
- გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივის ფარგლებში გადამზადდა ერთი თანამშრომელი ქალთა უფლებების მიმართულებით. თანამშრომელი რეგულარულად ატარებს ტრენინგებს ყველა თანამშრომლისთვის სამუშაო ადგილას ძალადობის, სექსუალური შევიწროების, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ახდენს ასეთი ტრენინგების ჩატარების საჭიროების ადვოკატირებას საგარეო შეხვედრებზე;
- ემბისი-ს წარმომადგენლებმა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ ტრენერთა ტრენინგში მიიღეს მონაწილეობა და გახდნენ სერტიფიცირებული ტრენერები. ტრენინგი მიკრო და მცირე მეწარმეების ფინანსური განათლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა. ემბისი-ს გადამზადებული კადრები ახორციელებენ ტრენინგების ჩატარებას როგორც ემბისის კლიენტებისთვის ასევე სხვა დაინტერესებული მეწარმეებისთვის.



პრო-ბონო სერვისები და საზოგადოების ცალკეული თემების მხარდაჭერა

სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის ფარგლებში 2018-2019 წლებში კომპანიამ აქტიურად დაიწყო პრო ბონო სერვისების მიწოდება შესაბამისი საჭიროების მქონე სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის. ემბისი-ს მენეჯმენტი ორიენტირებულია მაქსიმალური სტიმულირება გაუწიოს კორპორაციულ მოხალისეობას და აქტიურად ახორციელებს თანამშრომელთა დროისა და ინტელექტუალური რესურსების ინვესტირებას პრო ბონო სერვისების მიწოდებაში.

ემბისის-ს თანამშრომლები ყოველთვის დიდი ენთუზიაზმითა და მონდომებით არიან ჩართულნი კომპანიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და აქტივობებში. კომპანია მხარს უჭერს მათ პირად ინიციატივებსაც.

საკუთარი რესურსების (გამოცდილება, ცოდნა, ექსპერტიზა, ფინანსური და ადამიანური რესურსი) გაზიარება და ამით სამოქალაქო ორგანიზაციების დახმარება მათი მიზნების მიღწევაში და საზოგადოებაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენაში ემბისი-სთვის უმნიშვნელოვანესი სოციალური ინიციატივაა, რაც თავის მხრივ ასახული აქვს კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიაში.

პრიორიტეტული სფეროებია - სოციალური საწარმოები, შშმ პირების პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციები, მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, ქალი მეწარმეები, ბავშვთა და ხანდაზმულთა სახლების ბენეფიციარები, სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდები (განსაკუთრებულ ორიენტირს წარმოადგენს მცირე ქალაქების, დასახლებების, სოფლების სკოლები და ცენტრები).

2018-2019 წლებში პრო ბონო ქსელის ფარგლებში პრიორიტეტული სფეროების შესაბამისად შედგა ეფექტური თანამშრომლობა შემდეგ სამოქალაქო ორგანიზაციებთან - მუსთერაპიული ცენტრი, ასოციაცია „ანიკა“, სოციალური საწარმო „პოტერია“, სათემო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოება განვითარებისთვის“, ასევე პროექტები განხორციელდა - იაშვილის სახელობის კლინიკასთან, Action against Hunger- თან, ფონდი „ტასო“-სთან, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან, სათნოების სახლ „კათარზისთან“.

პრო-ბონო სერვისები და საზოგადოების ცალკეული თემების მხარდაჭერა

კორპორაციული მოხალისეობა მორალის, ღირებულებებისა და მისიის შექმნის ინსტრუმენტს წარმოადგენს ემბისისთვის. კომპანიაში დაინერგა მოდელი, რომლის მიხედვითაც თანამშრომელთა სამუშაო საათების გარკვეული პროცენტი ხმარდება საზოგადოების კეთილდღეობას. ემბისის შემთხვევაში კორპორაციული მოხალისეობა წარმოადგენს თანამშრომლების განვითარების საშუალებასაც.

ასეთი ინიციატივები წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის შესაძლებლობას, რის შედეგად ყველა მხარე იღებს სარგებელს და განვითარების შესაძლებლობას. თანამშრომლები - სხვადასხვა სექტორში მუშაობის გამოცდილებას, კომუნიკაციის უნარების დახვეწას, პროგრამის ბენეფიციარები -კომპანიის რესურსებს და ცოდნას.

კორპორაციულ მოხალისეობას სარგებელი მოაქვს ყველა ჩართული მხარისთვის: კომპანიისთვის თანამშრომლისთვის და საზოგადოებისთვის.

განხორციელებული პრო ბონო პროექტები:

- "ემბისი"-მ პროფესიული მომსახურება საქართველოს მუსთერაპიულ ცენტრს გაუწია. მუსიკალური თერაპიის ცენტრისათვის სარეკლამო ხასიათის ბროშურის მომზადებაზე მისოს გრაფიკულმა დიზაინერმა იმუშავა. ცენტრს, ბროშურასთან ერთად, საჩუქრად მისი საქმიანობის ამსახველი მრავალფეროვანი ფოტო მასალაც გადაეცა. კომპანიამ უზრუნველყო და თავად გადაიხადა პროფესიონალი ფოტოგრაფის მომსახურება. ასევე საკუთარი ხარჯებით ცენტრს დაუბეჭდა ბროშურები.

მუსთერაპიული ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფერო, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების, მუსიკის ექსპრესიული ელემენტების საშუალებით რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია გახლავთ. ცენტრის მეშვეობით ყოველ წელიწადს 100 შშმ ბავშვზე მეტისათვის ხელმისაწვდომია სისტემატური, ინდივიდიუალურ საჭირობებზე დაყრდნობით დაგეგმილი მუსთერაპიული აქტივობა. შშმ პირების ფსიქო-სოციალურ უნარ-ჩვევები უმჯობესდება სერვისის მიწოდების შედეგად, რაც ხელს უწყობს მათ ღირსეულ ინტეგრირებულ ცხოვრებას;

პრო-ბონო სერვისები და საზოგადოების ცალკეული თემების მხარდაჭერა

- ემბისი იაშვილის სახელობის ცენტრალური საავადმყოფოს პატარა პაციენტებისთვის 6 თვის ვადით Clown Care-ის პროექტი დააფინანსა. ონკო-ჰემატოლოგიური განყოფილების პაციენტებისათვის, რომლებიც მკურნალობის კურსს დეპრესიის, ტკივილის, შიშისა და შფოთვის თანხლებით უმკლავდებიან, უმნიშვნელოვანესია კვირაში ერთხელ ჯამბაზის ვიზიტი და ამ სახით დადებითი ემოციების მიღება. აღსანიშნავია, რომ ევროპისა და ამერიკის წამყვან კლინიკებში Clown Care დიდი ხნის დანერგილი მეთოდია.

- ემბისი-მ პრო ბონო მომსახურება გაუწია სათემო ორგანიზაციას - "სამოქალაქო საზოგადოება განვითარებისთვის". პროექტის ფარგლებში, შეიქმნა ორგანიზაციის ლოგო, Facebook-ის ოფიციალური გვერდის პროფილისა და ე.წ. "ქავერის" ვიზუალები. 28 აგვისტოს, ყვარლის რაიონში - სათემო ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი ახალგაზრდული ფესტივალის ანონსისთვის, მისოს გრაფიკულმა დიზაინერმა სპეციალური პოსტერი, ღონისძიების შესახებ ტურისტული თავშეყრის ადგილებში, ადგილობრივ სასტუმროებსა და ღვინის სახლებში ინფორმაციის გასავრცელებლად ფლაერი, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი კონცერტის სცენისათვის კი ბანერის სახით დეკორაცია შექმნა. სათემო ორგანიზაციის - "სამოქალაქო საზოგადოება განვითარებისათვის" - საქმიანობის ძირითადი მიზანია ყვარლის რაიონში სამოქალაქო ცნობიერების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაზრდა/გაუმჯობესება;

პრო-ბონო სერვისები და საზოგადოების ცალკეული თემების მხარდაჭერა

- "ემბისი"-ს გუნდმა პრო ბონო მარათონი 2019-ში მიიღო მონაწილეობა. კომპანიის წარმომადგენლები სოციალურ საწარმო "პოტერიას" მთავარი საკომუნიკაციო არხის - Facebook-ის გვერდის გაუმჯობესებაში დაეხმარნენ. გაიწერა გვერდზე განსათავსებელი პოსტების შინაარსი, შეიქმნა საწარმოს ახალი ლოგო და გვერდის შეფუთვა. პროექტის ფარგლებში, საწარმოს წარმომადგენლები გაეცნენ Facebook რეკლამის ტიპებს და მათი გამოყენების უპირატესობებს. "პოტერია" გახლავთ სოციალური საწარმო, სადაც ულამაზეს ხელნაკეთ ნივთებს მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კერამიკოსები და მხატვრები ქმნიან. საწარმოში დასაქმებულები არიან პრობაციონერი და ყოფილი მსჯავრდებული ქალბატონები, რომლებიც ახალი პროფესიის ასათვისებლად გადიან სასწავლო კურსს, შემდეგ კი შემოქმედებით პროცესში ერთვებიან;

- ემბისი-მ პრო ბონო მომსახურება გაუწია ასოციაცია „ანიკას“. თანამშრომლობა შედგა ადამიანური რესურსების მართვის საკითხზე. გადაიხედა და რეკომენდაციები დაიწერა - კომპანიის შინაგანაწესსა და წესდებაზე, თანამშრომელთა ეფექტური შეფასების სისტემის დანერგვაზე, სამუშაო აღწერილობებზე. ჩატარდა ტრეინინგი ჯანსაღი შრომითი ურთიერთობების თემაზე. ანიკა ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების განვითარების, განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობას;

- ემბისი-ს და კათარზისის თანამშრომლობა რამდენიმე წელია გრძელდება. კომპანია სათნოების სახლის მუდმივი პარტნიორია. წელიწადში მინიმუმ ორჯერ ემბისი აფინანსებს 300 ბენეფიციარზე გათვლილ სადილებს;

პრო-ბონო სერვისები და საზოგადოების ცალკეული თემების მხარდაჭერა

- ემბისი 2016 წლიდან მონაწილეობს ყველაზე მასშტაბურ საქველმოქმედო მარათონში „Wings for Life". ღონისძიებიდან შემოსული თანხა მთლიანად ზურგის ტვინის დაზიანებულთა კვლევას ხმარდება;

- პრო ბონოს ფარგლებში შშმ ბავშვთა მშობელთა კავშირი „ლამპარი" - თან შემუშავდა ორგანიზაციის საკომუნიკაციო ბანერის დიზაინი. კავშირი მუშაობს შშმ პირთა და შშმ ბავშვების მშობლების გაძლიერებაზე, მათ ჩართულობაზე ადგილობრივ თვითმართველობის ბიუჯეტირების პროცესში, შშმ პირთა საჭიროებებიდან გამომდინარე საჭირო სერვისების შექმნაზე თელავის ადგილობრივ თვითმართველობაში.

პასუხისმგებლობა საბაზრო სივრცეში

კომპანიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მომხმარებელთა უფლებების დაცვა, რაც გულისხმობს გამჭვირვალე, გონივრულ და ღირსებულ ფინანსურ მომსახურებას. ემბისი-ს მომხმარებელი ყოველთვის დროულად და სრულად არის ინფორმირებული პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ.
ორგანიზაციის თანამშრომლების მხრიდან კლიენტებისადმი დამოკიდებულება ეფუძნება პროფესიული ეთიკის მაღალ სტანდარტებსა და მორალურ ღირებულებებს. კომპანიაში ცალკე გამოყოფილია მომსახურების ხარისხის მიმართულება, რომელიც თვალყურს ადევნებს თანამშრომელთა ქცევის წესებს და უზრუნველყოფს კლიენტისათვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნას.
ემბისი-ს დანერგილი აქვს საჩივრების მიღებისა და განხილვის სისტემა. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და თანამშრომლობის განვითარების მიზნით მუდმივად მიმდინარეობს კომუნიკაცია მომხმარებლებთან.

პასუხისმგებლობა საბაზრო სივრცეში

2017 წელს ემბისი Smart Campaign-ს - მიკროსაფინანსო სექტორში მომხმარებელთა დაცვის ყველაზე ფართომასშტაბიან საერთაშორისო კამპანიას შეუერთდა, რითაც კიდევ ერთხელ დაასტურა შვიდი ძირითადი პრინციპის (პროდუქტის შესაფერისი მიწოდება, ზედმეტი დავალიანების პრევენცია, გამჭვირვალობა, გონივრული ფასდადება, სამართლიანი და თავაზიანი მოპყრობა კლიენტთან, მონაცემების კონფიდენციალურობა, საჩივრების მართვის მექანიზმები) ერთგულება.
ემბისი ასევე ხელს უწყობს სოციალური საწარმოების მიერ შექმნილი პროდუქციის პოპულარიზაციას და თავადაც ახორციელებს პროდუქციის შესყიდვას.

- 2018 წელს ემბისი-მ დანერგა სტარტაპ სესხის პროდუქტი, რომლის პირობები სრულად არის მორგებული დამწყებ მეწარმეებზე და სტარტაპერებზე. კომპანია აფინანსებს იდეას და მხარს უჭერს ახალგზარდებს ბიზნესის წამოწყებაში. პროდუქტის ძირითადი მახასიათებლებია: დაბალი საპროცენტო განაკვეთი, ხანგრძლივი საშეღავათო პერიოდი, მინიმალური დოკუმენტაცია და მარტივი პროცედურები, ბიზნეს-პროექტზე მორგებული გადახდის გრაფიკი;

- 2018 წელს ემბისი-ს სრული ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო სოციალური პროექტი, რომლის მიზანია აამაღლოს ფინანსური განათლების დონე საქართველოში, სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფში, მათი გეოგრაფიული, სოციალური, ასაკობრივი, გენდერული, პროფესიული თუ სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

პასუხისმგებლობა საბაზრო სივრცეში

- ფინანსური საკითხების გარდა, „ფინანსური მრჩევლის“ პროექტმა ყველა დაინტერესებულ დამწყებ მეწარმეებს შესთავაზა და გაუწია უფასო ინდივიდუალური კონსულტაციები შემდეგ სფეროებში: მენეჯმენტი, გაყიდვები, ციფრული მარკეტინგი და ბრენდინგი, ადამიანური რესურსების მართვა;
- 2019 წლის აპრილში ემბისი-მ ომის ვეტერანების, სოციალურად დაუცველებისა და შშმ პირებისთვის განახორციელა სესხების პატიების აქცია;
- 2018-2019 წლებში ემბისი-მ სოციალურად დაუცველი პირებისგან შეიძინა 400-მდე ნივთი;
- დაფინანსდა 154 სტარტაპერი.

კომპანიის მიზანია მიკროსაფინანსო ბაზარზე სანდო, კეთილსინდისიერი, სტაბილური და მომხმარებლის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეპუტაციის დამკვიდრება.

ახალგაზრდების მხარდაჭერა

"ემბისი" როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, განათლების ხელშეწყობას და ახალგაზრდების მხარდაჭერას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება და მათი პოტენციალის რეალიზებაში დახმარების გაწევა. ეს სტრატეგიული მიმართულება ესადაგება გაეროს მდგრადი განვითარების მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-10 მიზნებს. მოთხოვნილ და მიწოდებულ უნარებს შორის შეუსაბამობა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ამ კუთხით, აუცილებელია სამუშაო ადგილების პროგნოზირებისა და კარიერული კონსულტირების სისტემის დახვეწა, რაშიც აქტიურად არის ჩართული "ემბისი"-ის ადამიანური რესურსების განყოფილება, რომელიც უფასო კონსულტაციებს უწევს ახალგაზრდებს და სოციალურ საწარმოებს პროექტ "ფინანსური მრჩეველის" ფარგლებში.

ასევე, აუცილებელია, როგორც ფორმალური და არაფორმალური, ისე პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს შრომის ბაზარზე არსებულ დისბალანსს. აღნიშნული მიმართულებით, "ემბისი"-ს მუდმივად აქვს ტრენინგების სერია სტაჟიორებისთვის და დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის. ასევე, დამწყები მეწარმეებისთვის, რომლებსაც სურთ ისარგებლონ კომპანიის პროდუქტებით.

შრომის ბაზარზე ახალგაზრდების უკეთ ინტეგრირებისთვის არსებითია მათი ხელშეწყობა განათლებიდან დასაქმებაზე გადასვლის ეტაპზე. ამ მიზნით, ჩვენს მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯია სტაჟირების პროგრამების დახვეწა, შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა და აქტიური თანამშრომლობა გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელთან და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან. აგრეთვე, ჩვენ ხელს ვუწყობთ ახალგაზრდებისთვის - განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის - ალტერნატიული და ინოვაციური ინიციატივების განხორციელებას, სპეციალურად მათთვის სამუშაო ადგილების შექმნას.

ემბისი

mbc.com.ge

032 2 50 50 02